



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მგალობლიშვილი ნოდარ მიხეილის ძე

მგალობლიშვილი ნოდარ მიხეილის ძე (24. I. 1927, თბილისი, – 19. XII. 2000, იქვე), არქიტექტორი. საქართველო. დამს. არქიტექტორი (1971), პროფესორი (1976). დაამთავრა მოსკოვის არქიტ. ინ-ტი (1952). 1952–62 მუშაობდა მოსკოვის სხვადასხვა საპროექტო ინ-ტში. 1962–70 „თბილზნიეპში“ – სექტორისა და განყ-ბის ხელმძღვანელად. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა 1964-იდან. 1970–77 იყო სპი-ის არქიტ. ფაკ-ტის დეკანი, 1977–78 თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის პრორექტორი სამეცნ. დარგში, 1978–80 – თბილ. მთ. არქიტექტორი, საქართველო. არქიტექტორთა კავშირის თავ-რე (1986–90, 2000). ნამუშევრები: სავაჭრო დაწესებულებები (1952–61) მოსკოვში, თბილ. სახელმწ. უნ-ტის კომპლექსი (1970, ავტორთა ჯგუფთან ერთად), 300 არაგველის სახ. ბაღი და მემორიალური კედელი თბილისში (1966), 2 მემორიალური ძეგლი ჰოლანდიაში, კ. ტექსელზე (1973–75), ფიროსმანის (1975), დედა ენის (1983, მოქანდაკე ე. ამაშუკელი), პ. ბაგრატიონის (1984, მოქანდაკე მ. მერაბიშვილი) ძეგლები და სხვ. მიღებული ჰქონდა ი. გოგებაშვილის (1985), უნგრეთის („პროკულტურა ჰუნგარია“, 1988), სსრკ მინისტრთა საბჭოს (1989) და მ. აბაშიძის სახ. (1998) პრემიები. დაჯილდოებულია ბრნოს (ჩეხოსლოვაკია) ტექ. უნ-ტისა (1972) და ზაარბრიუკენის (გერმანია) ობერბურგომისტრის დიდი ოქროს მედლებით (1979). გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები და წიგნები. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ.შ. ღირსების ორდენი (1997).

ლიტ.: საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია, თბ., 2017.
